საქართველოს პარლამენტი

2024 წლის ივლისის თვის მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2024
აგვისტო

2024 წლის ივლისის თვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი

7.5%

ივნისი*

2024 წლის ივლისში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ **1.8%** შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია **1.1%**-ით განისაზღვრა.



იანვარ - ივნისში* საქონლის ექსპორტი **6.7%**-ით შემცირდა, ხოლო იმპორტი **0.2%**-ით გაიზარდა.

ივნისში* ფულადმა გზავნილებმა **281.1** მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
ევროკავშირის ქვეყნები - **42.5%;**
რუსეთი - **17.4%;**
აშშ - **17.0%;**
სხვა ქვეყნები - **23.1%.**

ივნისში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე შემცირდა.

ივლისში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან **3.4%**-ით, ევროსთან მიმართებით კი **2.6%**-ით გამყარდა.

1. რეალური და ფისკალური სექტორი





<u>2024 წლის ივნისში* ეკონომიკური ზრდა 7.5%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.</u>

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2024 წლის ივნისში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 7.5% შეადგინა.

ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა საფინანსო და სადაზღვევო, მშენებლობის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, ტრანსპორტისა და დასაწყობების, აგრეთვე პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობებთან დაკავშირებულმა დარგებმა, ხოლო კლება დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში.

დღგ-ის საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელმა 2024 წლის ივნისში* 13,471.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 10.7%-ით



<u>2024 წლის ივლისში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 1.8% შეადგინა.</u>

ივლისში, წინა წლის ივლისთან მიმართებით, ინფლაციის დონე 1.8%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ზრდის მიმართულებით გავლენა იქონია, ძირითადად, ფასების დინამიკამ ტრანსპორტზე, აგრეთვე სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე, განათლებაზე. ივლისში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 1.1%-ით განისაზღვრა.

2024 წლის ივნისში* მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 3.0% შეადგინა.







<u>2024 წლის ივნისში* ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.</u>

ივნისში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 32.9%-ით, ხოლო ხარჯები 10.1%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 907.3 მლნ ლარით, ხოლო ასევე დადებითი მთლიანი სალდო 408.7 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის ივნისში* საგადასახადო შემოსავლებმა 1,979.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 17.4%-ით აღემატება. განსაკუთრებით გაიზარდა მოგების გადასახადი (80.8%-ით), აქციზი (23.1%-ით), საშემოსავლო გადასახადი (22.0%-ით) და სხვა. ამავე პერიოდში 16.1%-ით შემცირდა იმპორტის გადასახადი. პირდაპირი გადასახადების წილმა მთლიან გადასახადებში 52.9%, ხოლო არაპირდაპირმა გადასახადებმა 47.1% შეადგინა. ივნისში*, წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, არაფინანსური აქტივების დადებითი 14.4%-იანი (71.5 მლნ ლარით მეტი) ზრდა დაფიქსირდა.



<u>2024 წლის ივნისში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.</u>

ივნისში*, წინა წლის ივნისთან* მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 20.7%-ით მოიმატა და 55.5 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 21.4%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 19.8%-ით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი წინა თვესთან შედარებით 0.44 პპ-ით შემცირდა და 45.1% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნახევარზე მეტი (53.2%) შინამეურნეობებზე მოდის (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 85.8% ფიზიკურ პირებზეა, 14.2% კი ინდმეწარმეებზე). შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 36.6% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 63.9% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი.

საქმიანობის სახეების მიხედვით, გაცემულ სესხებში ყველაზე მეტი - 21.1% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 20.8% - მშენებლობის, 17.7% - მრეწველობის, 13.3% - უძრავი ქონებით ოპერაციების, 7.2% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



<u>2024 წლის იანვარ-ივნისში*, წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით, საქონლის ექსპორტი შემცირდა, ხოლო იმპორტი მცირედით გაიზარდა.</u> კერძოდ, ექსპორტმა 6.7%-ით დაიკლო, ხოლო იმპორტმა 0.2%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 1.8%-ით შემცირდა და 10,319.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 27.6%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: ყირგიზეთში (61%), შვეიცარიაში (25%), ყაზახეთში (18%), თურქეთში (16%), უზბეკეთში (13%) და სხვა. ექსპორტი შემცირდა სომხეთში (37%), ჩინეთში (34%), აზერბაიჯანში (23%) და სხვა.

იანვარ - ივნისში* საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა ძვირფასი ლითონების მადნების (239%-ით), სპირტიანი სასმელების (59%-ით), ფეროშენადნობის (30%-ით), ღვინის (24%-ით), მინერალური წყლის (23%-ით), ოქროს (10%-ით) ჯგუფებში. შემცირდა აზოტოვანი სასუქების (38%-ით), მსუბუქი ავტომობილების (6%-ით) საზღვარგარეთ გატანა.



2024 წლის იანვარ - ივნისში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი - 72.1% საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელდა, 18.4% - საზღვაო, 4.8% - საჰაერო, 3.4% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) სახეების წილმა 1.3% შეადგინა.



ამავე პერიოდში იმპორტის უდიდესი ნაწილი - 48.2% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 34.5% - საზღვაო, 7.7% - საჰაერო, 6.6% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) სახეების წილმა 2.9% შეადგინა.



იანვარ - ივნისში* საქართველოს ადგილობრივმა ექსპორტმა 1,293.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 11.5%-ით ნაკლებია. აღნიშნულ პერიოდში 10 უმსხვილესი ქვეყანა სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა იყო: რუსეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 21.0%), თურქეთი (16.8%), ჩინეთი (10.0%), სომხეთი (5.0%), აზერბაიჯანი (4.1%), შვეიცარია (3.9%), უკრაინა (3.4%), აშშ (3.1%), ბულგარეთი (2.9%), ყაზახეთი (2.6%).





<u>2024 წლის ივნისში* ფულადი გზავნილები შემცირდა.</u>

ივნისში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილები 20.9%-ით შემცირდა და 281.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 42.5%) და რუსეთი (17.4%) წარმოადგენდნენ. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გზავნილების მოცულობამ მოიმატა: აშშ-დან (22%-ით, ჩარიცხული გზავნილების მოცულობა 47.8 მლნ აშშ დოლარი), იტალიიდან (6%-ით, 45.8 მლნ აშშ დოლარი), გერმანიიდან (9%-ით, 22.4 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთიდან (6%-ით, 21.8 მლნ აშშ დოლარი), ესპანეთიდან (15%-ით, 6.0 მლნ აშშ დოლარი) და სხვა. ამავე პერიოდში ფულადი გზავნილების ჩარიცხვა შემცირდა: რუსეთიდან (62%-ით, 48.8 მლნ აშშ დოლარი), ყაზახეთიდან (37%-ით, 10.8 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (25%-ით, 8.1 მლნ აშშ დოლარი) და სხვა.

<u>2024 წლის ივლისში საერთაშორისო რეზერვებმა 4,671 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.</u>

ივლისში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 4,671 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2023 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 14.1%-ით ნაკლები, ხოლო წინა თვესთან მიმართებით 2.0%-ით მეტია.

2024 წლის ივლისში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე სავალუტო ოპერაციები არ განუხორციელებია.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯერადი.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <u>ბმული .</u>

3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2024 წლის ივნისში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა გაიზარდა.

ივნისში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარულმა ბაზამ 4.7%-ით მოიმატა. მათ შორის, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 16.7%-ით გაიზარდა, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებები 6.6%-ით შემცირდა.

ამავე პერიოდში ფულის M2 აგრეგატმა 22.4%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 18.6%-ს გაუტოლდა. 2024 წლის ივლისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 1.8% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები
(%-ლი ცვლილება)



2024 წლის ივლისის ბოლოს მთავრობის მიერ ემიტირებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალურმა ღირებულებამ 8,754.4 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის, 66.5% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 19.7% - ეროვნული ბანკის, ხოლო 13.9% - სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 11.8%, არარეზიდენტი - 2.1%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით
(ივლისი)



2024 წლის ივნისში*, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულმა დეპოზიტების საერთო მოცულობამ (ნაშთმა) 56,826.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 18.2%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 49.8% შეადგინა, შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებმა კი 50.2%.

ივნისის* თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 63.6% იურიდიულ პირებს, ხოლო 36.4% ფიზიკურ პირებს ეკუთვნის.

ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 66.4% ფიზიკური პირების საკუთრებაა, ხოლო 33.6% იურიდიული პირების მფლობელობაშია.

დეპოზიტები
(ივნისი)



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 49.8% ვადიანი დეპოზიტებია, 25.3% მიმდინარე ანგარიშები, ხოლო 24.9% მოთხოვნამდე დეპოზიტები.

უცხოური ვალუტის შემთხვევაში, ყველაზე დიდი წილი ვადიან დეპოზიტებს უკავია (39.5%), შემდეგ - მოთხოვნამდე დეპოზიტებსა (32.4%) და მიმდინარე ანგარიშებს (28.1%).



<u>2024 წლის ივნისში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე შემცირდა.</u>

ივნისში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.03 პპ-ით შემცირდა და 46.7%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 0.44 პპ-ით მოიკლო და 45.1% შეადგინა.

ივნისის თვეში*, წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტით განთავსებულმა დეპოზიტებმა 1.8%-ით, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობამ 1.7%-ით მოიმატა.



2024 წლის ივნისში*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 10,919.1 მლნ ლარი შეადგინა, ანუ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 28.8%-ით მეტი. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 96.7%-ია, ხოლო მოკლევადიანის - მხოლოდ 3.3%.



ამავე პერიოდში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 37,671.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 23.2%-ით აღემატება. აქედან, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 47.8%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით - 52.2%.



ივნისის* ბოლოს არსებული მონაცემებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში სესხების 62.6% გაცემულია თბილისში, 8.0% იმერეთში, 7.4% აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 5.6% კახეთში, 4.7% ქვემო ქართლში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

2024 წლის ივნისში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.6 პპ-ით, ხოლო სესხებზე 0.3 პპ-ით შემცირდა.

ივნისში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 12.7% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 6.8%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) ივნისის* მდგომარეობით 5.9% შეადგინა, 1.24 პპ-ით მეტი წინა წლის ივნისთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2024 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დარჩა და კვლავ 8.00% შეადგინა.





2024 წლის ივლისში, წინა თვესთან მიმართებით, ლარი როგორც აშშ დოლარის, ასევე ევროს მიმართ გამყარდა.

ივლისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 3.4%-ით, ევროს მიმართ 2.6%-ით, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 4.5%-ით გამყარდა. ამავე პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, ივლისში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 5.0%-ით, ევროს მიმართ 3.3%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 18.3%-ით გამყარდა.

ივლისის თვეში პერიოდის საშუალო ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 2.73, ევროსთან მიმართებით 2.96, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 0.08 შეადგინა.

4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

<u>2024 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა.</u>

2024 წლის I კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 1,943.4 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 13.2%-ით მეტია (227 ლარით მეტი), ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით - 4.9%-ით ნაკლებია (101 ლარით ნაკლები).

რაც შეეხება დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილებას, 2024 წლის I კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების დარგში 4,519 ლარის ოდენობით (20.2% წლიური ზრდა), აგრეთვე ინფორმაცია და კომუნიკაციისა (3,957 ლარის ოდენობით, 9.0% წლიური ზრდა) და პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების დარგებში (2,673 ლარის ოდენობით, 12.0% წლიური ზრდა).





<u>2024 წლის ივნისის* თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა განათლებაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები, ჯანდაცვაზე კი შემცირდა.</u>

ივნისში* განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 215.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 26.4%-ით მეტია. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები კი 117.3 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.4%-ით ნაკლები.

5. რეგიონული მიმოხილვა

2024 წლის ივლისში, რეგიონის ქვეყნებში, თურქეთის გარდა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 61.8% შეადგინა, ხოლო სომხეთში შედარებით მცირე (1.4%) დაფიქსირდა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2024 წლის ივნისის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 1.1%-ით, ხოლო რუსეთში 8.6%-ით გაიზარდა.





2024 წლის ივლისის თვეში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, რუსული რუბლის გარდა, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.

კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ივლისში აშშ დოლართან მიმართებით ქართული ლარი (5.0%-ით), თურქული ლირა (19.7%-ით), სომხური დრამი (0.4%-ით) და აზერბაიჯანული მანათი (0.1%-ით) გაუფასურდა, ხოლო რუსული რუბლი (3.3%-ით) გამყარდა.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	ივლ 23	აგვ 23	სექ 23	ოქტ 23	ნოე 23	დეკ 23	იან 24	თებ 24	მარ 24	აპრ 24	მაი 24	ივნ 24	ივლ 24
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	5.5	5.8	5.1	6.2	5.9	8.3	5.8	9.5	8.2	11.8	9.2	7.5	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	2.9	4.2	3.0	6.0	2.6	4.6	1.4	11.8	8.5	19.1	14.1	10.7	
ინფლაცია (%)	0.3	0.9	0.7	0.8	0.1	0.4	1.4	0.3	0.5	1.5	2.0	2.2	1.8
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	10.5	10.25	10.00	10.00	10.00	9.50	9.00	9.00	8.25	8.25	8.00	8.00	8.00
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.48	0.49	0.48	0.48	0.48	0.49	0.47	0.47	0.47	0.46	0.45	0.47	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.45	0.45	0.45	0.45	0.45	0.45	0.45	0.44	0.45	0.45	0.46	45.08%	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.6	2.6	2.6	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.8	2.7
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	301,068	287,006	283,878	283,006	292,733	308,286	265,093	266,386	280,934	278,515	284,309	281,091	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	527	493	526	491	482	514	339	465	523	437	502	582	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1,325	1,411	1,382	1,361	1,297	1,369	1,100	1,178	1,222	1,438	1,319	1,214	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-797.7	-918.2	-856.0	-870.5	-814.8	-854.5	-761.7	-713.1	-699.0	-1,000.9	-817.1	-632.4	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	5,436	5,437	5,273	5,119	5,122	5,010	4,853	4,746	4,777	4,814	4,600	4,581	4,671
შემოსავლები (მლნ ლარი)	1,847	1,722	1,821	1,913	1,831	2,122	2,116	1,823	2,384	2,050	2,010	2,495	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,901	1,269	1,496	1,626	1,581	1,947	1,716	1,676	1,558	1,904	1,697	1,587	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	365	659	616	469	545	1,109	402	420	430	424	459	567	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან



ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან



დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში
შეგიძლიათ იხილოთ

ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)
შეგიძლიათ იხილოთ

საქართველოს პარლამენტი